საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 4 22 02243554

12/08/2022

მოქალაქე ლიზი გოგოლაძეს (პ/ნ: 01005037849)
მის.: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი, კორპ. N13, ბინა N46
ტელ.: 595056816
ელ-ფოსტა: foi+request-832-81ad397a@askgov.ge

ქალბატონო ლიზი,

მიმდინარე წლის 4 აგვისტოს განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ფუნქციონირებს 2012 წლიდან, ამიტომ მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია 2010 წლიდან. აგრეთვე, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის სტატისტიკა მუშავდება 2014 წლის 25 ივნისიდან, როდესაც შეიქმნა სათანადო ინციდენტის ტიპები და შესაბამისად თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გეგზავნებათ აღნიშნული პერიოდიდან, ჩაშლილი წლების მიხედვით.

აქვე მოგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს გადაუდებელი საჭიროების შესახებ პირველად შეტყობინებებს და ინფორმაციას რეაგირებისთვის გადასცემს შესაბამის სამსახურს (პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, სახანძრო/სამაშველო სამსახური).

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის ზარის მიმღების მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემა, ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

მოგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში, არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებები ერთიანდება სხვადასხვა ინციდენტის ტიპის ქვეშ, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ ძალადობის სხვადასხვა ფორმებს და ფუნქციონირებდნენ დროის სხვადასხვა მონაკვეთში. მათი ერთობლიობიდან მხოლოდ არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის შემთხვევების რაოდენობრივად გასამიჯნად და სტატისტიკის წარმოებისთვის მექანიზმი

შემუშავდა 2021 წლის 18 მარტს და ამასთანავე, შეიქმნა ინციდენტის ტიპი „სექსუალური ხასიათის ქმედებები არასრულწლოვნის მიმართ“. აღნიშნულ პერიოდამდე, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის სტატისტიკის წარმოებისთვის გამოიყენებოდა 5 ინციდენტის ტიპი: I) „გარყვნილი ქმედება“, რომელიც მოიაზრებს ძალადობის გარეშე, 16 წლამდე ახალგაზრდებზე, ინტელექტუალურ ან ფიზიკურ ზემოქმედებას; II) “სექსუალური ძალადობა“, რომელიც მოიაზრებს სექსუალური ძალადობის ხასიათის მატარებელ ნებისმიერ ქმედებას; III) “სექსუალური ხასიათის დანაშაული”, რომელიც მოიაზრებს სექსუალური ძალადობის ხასიათის მატარებელ ნებისმიერ ქმედებას (იგულისხმება ძალადობრივი სექსუალური შეღწევა(გაუპატიურება) ნებისმიერი ასაკის პირის მიმართ, ასევე სექსუალური ხასიათის ნებისმიერი სხვაგვარი ქმედება ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით); IV) „ძალადობა“, რომელიც მოიაზრებს ნებისმიერ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ფიზიკურ ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი ან/და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, რასაც არ მოჰყოლია ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება და არ საჭიროებს სამედიცინო დახმარებას. აგრეთვე, შეტყობინება არასრულწლოვნის მათხოვრობის ფაქტთან დაკავშირებით; V) “ძალადობა არასრულწლოვნის მიმართ“, რომელიც მოაზრებს შეტყობინებას არასრულწლოვანის ცემის ან მის მიმართ სხვაგვარი ძალადობის შესახებ, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია. აგრეთვე, შეტყობინება არასრულწლოვნის მათხოვრობის ფაქტთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხდება მხოლოდ ძალადობის ორი ფორმის გარჩევა, გარყვნილი ქმედების (ინციდენტის ტიპი „გარყვნილი ქმედება“ ფუნქციონირებდა 2020 წლის 14 თებერვლამდე) და სექსუალური ხასიათის ქმედებების არასრულწლოვნის მიმართ.

აქვე მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 18 თებერვლამდე რეგიონებიდან შემოსულ შეტყობინებებზე შექმნილ საქმეებში არ ხდებოდა შემთხვევის შესაბამისი ინციდენტის ტიპის არჩევა და მოწოდებული ინფორმაცია ფიქსირდებოდა მხოლოდ საქმის კომენტარებისთვის გამოყოფილ ტექსტურ ველში („შენიშვნის ველი“), არაშაბლონურად. ამიტომ, 2016 წლის 18 თებერვლამდე, რეგიონების მონაცემების ამოღება მოხდა სიტყვათა სხვადასხვა კომბინაციის შერჩევით, რაც შესაბამისად ვერ ასახავდა ზუსტ მონაცემს. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ თარიღამდე მოწოდებული სტატისტიკა არის რეალურთან მიახლოებული, მაგრამ არა ზუსტი.

დანართი: იხ. მიბმული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112" ადმინისტრაცია (სამმართველო)
უფროსი **ლაშა ჩახავა**